მრავალმხრივი ინტელექტის იდენტიფიკაცია, სკალათაშორისიკორელაციებიდა გენდერული განსხვავებები ელემენტარული

სკოლის მოსწავლეებში

ეკა გონცაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხისმინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი მარინე ჯაფარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

კვლევის მიზანიამრავალმხრივი ინტელექტის ტიპების გამოვლენაელემენტარული სკოლის მოსწავლეების ქართულ პოპულაციაში (9-11წ.წ.), ინტელექტის ტიპების შიდა კორელაციების და გენდერული განსხვავებების დადგენა. კვლევა განხორციელდა გამოკითვის მეთოდის საფუძველზე კონელის მრავალმხმრივი ინტელექტის კითხვარის გამოყენებით. გამოკითხულ იქნა 152 ელემენტარული სკოლის მოსწავლე: 75ბიჭი და, 77 გოგო. მიღებული შედეგების მიხედვით, ამ ასაკის მოსწავლეებში ყველაზე მაღალი სიხშირით ნატურალისტური და ინტერპერსონალური ინტელექტი გამოვლინდა, ხოლო ყველაზე დაბალი სიხშირე მუსიკალურ და კინესთეტიკურ ინტელექტს აღმოაჩნდა. დადებითი კორელაციები გამოვლინდა (1) ლინგვისტურსა და კინესთეტიკურ ინტელექტს შორის; ასევე (2) ინტრაპერსონალურსა და ლინგვისტურ ინტელექტს შორის. რაც შეეხება გენდერულ განხვავებას, გასხვავება სანდოა მუსიკალური, კინესთეტიკური და ინტერპერსონალური ინტელექტის შემთხვევაში. მდედრობითი სქესის ამ ინტელექტთა სიხშირის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება მამრობითი სქესის მაჩვენებელს. კვლევის შედეგები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პედაგოგებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სწავლების ინდივიდუალური მიდგომით და შესაბამისად თითოეული მოსწავლის პროდუქტიულობის გაზრდით მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.

ძირითადი თემატური სიტყვები:ინტელექტი,მრავალმხრივი ინტელექტი, გენდერი,